მიზანი ნათელია!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 20 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 1:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია (კანთელაძე), ლ. ნოდია (წერეთელი).

“სპარტაკი”: პროხოროვი, ლოგოფეტი, ოლშანსკი, ბუკიევსკი, ზენკოვი, კისელიოვი, კოკორევი (ანდრეევი), ბულგაკოვი, პისკარიოვი, მინაევი, რედინი (მოროზოვი).

მსაჯი: კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

თბილისის “დინამოს” მიზანი და ამოცანები XXXV ჩემპიონატში საბოლოოდ და კონკრეტულად გამოიკვეთა. მოსკოვის “სპარტაკთან” მოგებული მატჩის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩვენს გუნდს ბრინჯაოს მედლების მოპოვების ან IV ადგილზე გასვლის რეალური შანსი აქვს, წლევანდელი IV ადგილი კი ნიშნავს, რომ დინამოელები გაისადაც ევროპულ ორბიტაზე გავლენ და მონაწილეობას მიიღებენ უეფა–ს ტურნირში. საქმე ისაა, რომ თბილისელთა უშუალო კონკურენტები – მოსკოვის “დინამო” და “შახტიორი” ერთმანეთს უნდა შეხვდნენ 1 ნოემბერს და ერთ–ერთი მათგანი, ცხადია, დაკარგავს ქულებს.

პერსპექტივა რეალურია, მაგრამ მისი განხორციელებისთვის დინამოელებმა თავი არ უნდა დაზოგონ, მთელი ძალები უნდა შესწირონ ბრძოლას დარჩენილ ორ მატჩში: ცსკა–სთან – შინ და “ზენიტთან” – სტუმრად. იმედი უნდა ვიქონიოთ, კოლექტივი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდება ამ ძნელ საქმეს, არ გაუმტყუნებს იმედს გულშემატკივრებს, არ შელახავს თავის სპროტულ პრესტიჟს.

ახლა რამდენიმე სიტყვა განვლილ მატჩზე. “სპარტაკთან” წლეულს დინამოელები ვალში არიან, ვინაიდან სწორედ მასთან იწვნიეს მარცხი სსრ კავშირის თასზე და ჩემპიონატის შეხვედრაც წააგეს მოსკოვში. იოლ თამაშს, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, ვინაიდან სპარტაკელებიც ზუსტად იმავე პერსპექტივების წინაშე იდგნენ და მიზნის მისაღწევად ძალღონეს არ დაზოგავდნენ, მაგრამ მოლოდინმა, შეიძლება ითქვას, სინამდვილეს გადააჭარბა: სტუმრები არნახული ენერგიით და თავგანწირვით იბრძოდნენ, გუნდის ყოველი რგოლი მოქმედებდა მაქსიმალური მონდომებით. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პისკარიოვი, ბულგაკოვი, მინაევი. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ დინამოელთა დაცვაში ხშირად იჩენდა თავს ნერვიულობა, შეცდომები. იყო მომენტები, როცა მოსკოველებს აშკარად შეეძლოთ წარმატებისთვის მიეღწიათ.

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, გავიდა მე–10 წუთზე და საკმაოდ საინტერესო სიტუაციაში: გავაშელმა ღრმა რეიდი შეასრულა და ლ. ნოდიასგან მიღებული ბურთით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე. დარტყმა არ იყო ძნელი, პროხოროვმა აიღო კიდეც ბურთი, მაგრამ საბედისწერო შეცდომა მოუვიდა და ხელიდან გაუშვა იგი. შეიძლება სხვას არ გაეგრძელებინა ბრძოლა ასეთ მომენტში, გავაშელმა კი ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა, განაგრძო იერიში და მიუსწრო “უპატრონოდ” დარჩენილ ბურთს. გოლი, ძალიან საჭირო, ძვირფასი გოლი გავიდა – 1:0.

სახიფვათო იერიშები მთელი მატჩის განმავლობაში არ შეუნელებიათ არც თბილისელებს, არც მოსკოველებს. შესვენების შემდეგ რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს ერთმანეთთან ყიფიანმა და წერეთელმა, აქტიურობდა მაჩაიძე. უშფოთველი ცხოვრება არც გოგიას კართან იყო, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. დინამოელებმა ღირსეულად მოიგეს ეს ძნელი, საპასუხისმგებლო მატჩი.

აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ლენინგრადელი არბიტრის კ. სმირნოვის ლიბერალობას. სპარტაკელები ხშირად მიმართავდნენ ეგრეთ წოდებულ "მცირე ფოლის" ტაქტიკას და აკრძალული ილეთებით ახერხებდნენ თბილისელთა იერიშების უვნებელყოფას, მსაჯი კი მხოლოდ დარღვევის ფორმალური აღნიშვნით იფარგლებოდა და გადამჭრელ ზომებს არ მიმართავდა წესრიგის დასამყარებლად.

ბ. ქორქია.

"ლელო", 23 ოქტომბერი, 1973 წ.